ონის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ სერგო ხიდეშელს

ონის მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს თავჯდომარის

ქ-ნ ლელა ზაქარაიას

განცხადება

ბატონო სერგო,

გვსურს ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს სხდომის ჩატარება მუნიციპალიტეტის მერიაში 2022 წლის 11 ოქტომბერს 16:00 საათზე. თუ მითითებული დრო თქვენთვის არ არის მისაღები.

გთხოვთ შემოგვთავაზოთ ალტერნატიული თარიღი და დრო.

შეხვედრის დღის წესრიგი

1. ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის შესრულება 2022 წლის განმავლობაში -16:00-16:20

2. 2023 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატანად ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს მიერ შემოთავაზებული საპროექტო წინადადებების და რეკომენდაციების განხილვა -16:20-16:50

პატივისცემით

ონის მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს თავჯდომარე

ლელა ზაქარაია /

პ/ნ 62001038729/lelazakaraia@yahoo.com/551093941

0710.2022

11/10/2022

ონის მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს მეხუთე სხდომის

ოქმი #5

თარიღი: 11 ოქტომბერი, 2022 წელი

დრო: 16:00

ადგილი: ონის მერია, მის: აღმაშენებლის ქ. N14

სხდომას ესწრებოდნენ: ონის მუნიციპალიტეტის მერი-სერგო ხიდეშელი, მერის მოადგილე-ლევან შერაზადიშვილი, ონის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტური, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდობის სამსახური უფროსი-მანანა ჩაგელიშვილი

საბჭოს მხრიდან სხდომას ესწრებოდნენ მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს შემდეგი წევრები: საბჭოს თავმჯდომარე-ლელა ზაქარაია, თამარ ხომასურიძე, მეგი გუტაშვილი, ნანუკა მაისურაძე, ნიკო კიკვიძე, ოთარ გორდეზიანი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

1. ევროპის საბჭოს ანგარიში ადამიანის უფლებათა შესაძლებლობების შესახებ ონის მუნიციპალიტეტში მომხსენებელი: თამარ ხომასურიძე
2. ონის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის შესრულება 2022 წლის განმავლობაში მომხსენებელი: ლელა ზაქარაია
3. 2023 წლის ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატანად ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს მიერ შემოთავაზებული საპროექტო წინადადებების და რეკომენდაციების განხილვა: თამარ ხომასურიძე

სხდომის მიმდინარეობა:

საკითხი 1. ევროპის საბჭოს ანგარიში ადამიანის უფლებათა შესაძლებლობების შესახებ ონის მუნიციპალიტეტში მომხსენებელი: თამარ ხომასურიძე

„ევროპის საბჭოს ანგარიში ადამიანის უფლებათა შესაძლებლობის შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტში ადგილობრივ თვითმმართველობათა ფორუმის ფარგლებში განხორციელდა, რომელიც ცამეტი მუნიციპალიტეტისგან შემდგარ პლატფორმას წარმოადგენს და მიზნად ისახავს აღმოფხვრას დისკრიმინაცია სოციალური ინკლუზიისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფით და ადგილობრივ დონეზე პოლიტიკის შემუშავების პროცესში გენდერული პერსპექტივის გათვალისწინების გზით. საბაზისო კვლევის მიზანია ადამიანის უფლებების განხორციელების მიმართულებით ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობების შეფასება. კვლევა პროექტის „მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში“ ფარგლებში ჩატარდა. პროექტი ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის მიერ, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასთან (ათეა) მჭიდრო თანამშრომლობით ხორციელდება.
მიმდინარე ანგარიშს საფუძვლად უდევს 2022 წლის აპრილსა და მაისში ჩატარებული შეფასება. შეფასების მეთოდები მოიცავდა მუნიციპალიტეტის შესაძლებლობების სამაგიდო კვლევას და ადგილობრივ კონსულტაციებს ადამიანის უფლებების განხორციელებისას ონის მუნიციპალიტეტის წინაშე არსებულ გამოწვევებზე. ადგილობრივი კონსულტაციები ონის მუნიციპალიტეტში ჩატარდა ფოკუს ჯგუფის დისკუსიის სახით, რომელში მონაწილეთა შორის მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარეც იყო. ანგარიშის განხილვის მიზანი მასში შეტანილი რეკომენდაციების გათვალისწინებაა საბჭოს უფლებამოსილების ფარგლებში.

საკითხი 2. ონის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის შესრულება 2022 წლის განმავლობაში მომხსენებელი: ლელა ზაქარაია

2022 წელს ონის მუნიციპალიტეტში საკრებულოს მიერ დამტკიცდა ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის შემუშავებაშიც აქტიურად იყო ჩართული ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო. დოკუმენტის დამტკიცებიდან ერთი წლის გასვლის მერე ახალგაზრდულ მრჩერველთა საბჭო დაინტერესდა პოლიტიკის დოკუმენტის სამოქმედო გეგმაში, რომელი აქტივობები განხორციელდა და რომლის განხორციელებას აპირებს მუნიციპალიტეტს მერია. ასევე რეკომენდაციის სახით მომხსენებელმა მიაწოდა დამსწრე საზოგალოებას საბჭოს რეკომენდაცია დოკუმენტის შესრულების ხარჯთაღრიცხვა 5000 ლარიდან გაიზარდოს 10000 ლარამდე.

დასკვნა: მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა სერგო ხიდეშელმა გამოთქვა მზაობა პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსების თანხა გაიზარდოს.

საკითხი 3. 2023 წლის ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატანად ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს მიერ შემოთავაზებული საპროექტო წინადადებების და რეკომენდაციების განხილვა: თამარ ხომასურიძე

ახალგაზრდების მუნიციპალიტეტის საქმიანობაში მაქსიმალური ჩართულობისთვის, ახალგაზრდების ინტელექტუალური უნარების წარმოჩენისთვის, მოტივირებისთვის, ნიჭიერი ახალგაზრდების აღმოჩენისთვის, ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისთვის და მათი პიროვნული განვითარებისათვის აუცილებელი გარემოს შეიქმნას. მერის ახალგაზრდულმა მრჩეველთა საბჭომ ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებისთვის და სტრატეგიაში გაწერილი მიზნების მიღწევისთვის არაერთი ინიციატივა შესთავაზა მერს ახალგაზრდული მიმართულებით, მათ შორის, 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში გასათვალისწინებლად რეკომენდაციის სახით 5 საბიუჯეტო ქვე-პროგრამა. შეთავაზებულ ინიციატივებს შორის არის:

საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერა, რომელიც დაემხარება ახალგაზრდებს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლებაში, მონაწილეობისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო კომპეტენციების განვითარებაში;

ახალგაზრდების მხარდაჭერა სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობის მიზნით;

მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წევრების ტრანსპორტირება საბჭოს შეხვედრებზე და მათი გადაადგილება სხვადასხვა სოფელში წლის განმავლობაში ახალგაზრდებთან შესახვედრად, რათა საბჭოს მიერ თვითმმართველობამდე მიტანილი საკითხები შეესაბამებოდეს ახალგაზრდის საჭიროებებს;

მასობრივი სპორტის პოპულარიზაციის მიზნით და სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობისათვის განხორციელდება მაგიდის ტენისის სამოყვარულო ჩემპიონატი;

მუნიციპალიტეტში მოეწყობა ღია-კინოთეატრის კონსტრუქცია, აღნიშნული ახალგაზრდული სივრცის ფუნქციურად დასატვირთად სხვა ღონისძიებებთან ერთად კინოჩვენებების გამართვა;

ონის მუნიციპალიტეტის სკოლის მოსწავლეებში ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ ჩატარება: თამაშის სავარაუდო თემატიკა- თვითმმართველობა.

მნიშვნელოვანია ახალგაზრდებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, იყვნენ აქტიური

მოქალაქეები და მონაწილეობდნენ ადგილობრივ დონზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომ მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკა იყოს მათ საჭიროებებზე მორგებული.

მერის მოადგილის ლევან შერაზადიშვილმა გამოთქვა მოსაზრება თითოეულ საკითხზე ბიუჯეტში გასათვალისწინებელი თანხის დასაანგარიშებლად საბჭოსთან ერთად დაიწყოს სამუშაო შეხვედრები, რომ რეკომენდაციები და ინიციატივები უფრო დაიხვეწოს და ისე იქნას წარდგენილი საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

მუნიციპალიტეტის მერმა სერგო ხიდეშელმა ისაუბრა მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტების მიმდინარეობაზე, ასევე მზაობა გამოთქვა სანუშაო შეხედრებში აქტიურ ჩართვაზე.

თავმჯდომარე: ლელა ზაქარაია

11.11.2022